პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2025 წლის _____ მარტი; ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმში, გაგარინის ქ. N32- ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.25.08.171; 05.25.08.172) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 41-ე და 43-ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ქალაქ ბათუმში, გაგარინის ქ. N32-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.25.08.171; 05.25.08.172) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმა, თანახმად დანართისა.

მუხლი 2

კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზ-ღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.25.08.171; 05.25.08.172) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროქტის მიხედვით გადამეტებული) კ 1/2 მაჩვენებლის 10%-ის ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, გაგარინის ქ. N32- ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.25.08.171; 05.25.08.172) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ"ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმში, გაგარინის ქ. N32- ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.25.08.171, 05.25.08.172) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ დადგენილების მიღება.

განმცხადებელი - შპს ,,ნნნ-2015''-ს (ს/N 445440755).
2025 წლის 18 თებერვლის 1425049566-06 (1425077229-06) განცხადებით შპს ,,ნნნ-2015''-ის (ს/N 445440755) მიერ მოთხოვნილია: ქალაქ ბათუმში, გაგარინის ქ. N32- ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.25.08.171, 05.25.08.172) სამშენებლოდ განვითარების მიზნით, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება. 2025 წლის 29 იანვარს Nგ-15.15250298 განკარგულებით დამტკიცდა გდგ-ს კონცეფცია.

გეგმარებითი ერთეულის ფართობი შეადგენს 10 328 კვ.მ-ს. იგი შედგება ორი საკადასტრო ერთეულისაგან. საპროექტო ტერიტორიაზე (ს/კ 05.25.08.171, 05.25.08.172) იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განთავსება.
ტერიტორიაზე იგეგმება სასაწყობე შენობის ნაცვლად 34 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განთავსება, რომელსაც ექნება მიწისქვეშა და მიწისზედა დახურული პარკინგი. მოთხოვნილი საპროექტო პარამეტრებია : კ1=0,4; კ2=10,0; კ3=0,3;

განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გადამეტებისათვის მაკომპენსირებელი განისაზღვროს (შეთანხმებული პროქტის მიხედვით გადამეტებული) კ 1/2 მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: არ გამოიწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე-არ გამოიწვევს .

გ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

პროექტის მომზადების პროცესში არ მიღებულა კონსულტაციები;

დ) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ე) პროექტის ინიციატორი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ვ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი გიორგი წანაწყენიშვილი